

ახალი 1920



== ო. ყოფნა ==

მეგრული
ფლავრები

გამოცემლობა

= ნორჩი საქართველო =

თ. შავჭავჭავაძე

ს. ლომია

Handwritten red scribbles and a small red mark.


1920

გამომცემლობა ნონი სპეციალურად.

პრ. უ. იოს. ყიფშიძე.


მეგრული ზღაპრები

21486



№ 7.





ხრისტაგანი და გელთაგანი ტარიელეზის*) არაკი.

(ხალხური ზღაპარი).



ყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა ერთი ქალიშვილი. მის უკეთესი ცასა და დედამიწას შუა არაფერი დაიბადებოდა. ამ ხელმწიფეს ღამით დაეცა რალაც და მისი ქალი მოსტაცა. დაედევნენ, ბევრი ეძიეს, მაგრამ ვერაფერი ვერ ნახეს. ამ დროს ცხოვრობდა თურმე ერთი ტყისკაცი, რომელსაც ღვთისადმი პირობა ჰქონოდა მიცემული: თავის დღეში კაცთან არ გამოსულიყო და მარად ტყეში ყოფილიყო. მიწა-ადგილი ჰქონდა თავისათვის მიჩენილი, რადგან გარეშემო მოსაზღვრეები დევები ჰყავდა და მათ ხეებს არ აძლევდა მოსაქრელად. ისეთი ღონიერი კაცი იყო, რომ ყველა დევებს მისი ეშინოდათ. ერთხელ ეს ტყისკაცი წავიდა თავისი ადგილის შემოსავლელად: დევებმა ხომ არა გააოხრეს რაო. ერთის მხრით წყლის პირი იყო. ამ წყალს გაჰყვა. მხეც ჩასვლას დაეპირა. წყალს რომ დახედა ტყისკაცმა,

*) ტარიელ მეგრულად ნიშნავს გმირს, ვაჟკაცს.

სისხლად შეღებილი ნახა. გაუკვირდა: „ეს წყალი თეთრი იყო, ახლა რა არი — წითელი როა, ეს უნდა ვნახოო!“ შეჰყვა წყლის პირს და დააღამდა. ერთ ადგილს მიაღწია და ნახა, რომ ორი დევი ერთმანეთს ეჭიდებიან. თურმე ამათი სისხლით ყოფილა შეღებილი წყალი. გაღმა რო გაიხედა, დაინახა: დგას ნაპირზე რაღაც მზესავით მოელვარე. ტყისკაცი მივიდა დევებთან, იძრო ლეკური, მოუქნა, ორივე დასჭრა და წყალს მისცა წასაღებად. ამ დროს გაღმიდან დაუძახა იმან, მზესავით რო ბრწყინავდა: ქრისტიანი ხომ არ ხარო?

— არ შეგეშინდეს, — უპასუხა ტყისკაცმა, — მე ქრისტიანი ვარ და შენ კი ვინა ხარ, მითხარიო!

— მე ვარ ხელმწიფის შვილი. შენ რო მოჰკალი, იმ დევმა მომიტაცა და აქეთ წამომიყვანა. ამ წყალთან მეორე დევი დახვდა და ჩემი წართმევა დაუპირა. იმ დროს იყო, შენ რო მოუსწარ, ჩხუბობდნენ და დაჰხოცეო.

ტყისკაცმა უთხხრა ხელმწიფის ქალს: —

— მე ღვთისადმი მაქვს პირობა მიცემული, რომ ტყიდან არასდროს არ გამოვიდე. მინდორში გაგიყვან და შემდეგ შენ სახლში წადიო.

მაგრამ ქალმა უპასუხა, შენი დაშორება არაფრის გზით არ შემიძლიაო.

ტყისკაცმა წაიყვანა ქალი თავის სამყოფ ადგილას და იწყეს ერთად ცხოვრება. გავიდა ნახევარ-წელიწადი. ქალი დაორსულდა. ბავშვის დაბადების დრომაც მოატანა. ტყისკაცმა უთხრა ქალს: —

— მე მარტო ვარ ამ ტყეში. შენ რო დაწვები, კაცი გინდა ხელის მომწყობი. მე არაფერი არ შემიძლია.

— მე შენთან უნდა მოვკვდე: სხვაგან ვერსად ვერ წავალო, — უთხრა ქალმა; მაგრამ ტყისკაცმა არ დაუჯერა: —

— შენ უნდა სახლში წახვიდე. მე ტყიდან გაგიყვან ლამით და შენი სახლის ახლოს მიგიყვანო.

ქალს რა უნდა ექნა: — კარგო, უთხრა.

წაიყვანა ტყისკაცმა ლამით და მისი სახლის ახლოს დასტოვა. ამოიღო ჯიბიდან ერთი ბეჭედი, მისცა ქალს და უთხრა: —

— შენ დაგებადება ვაჟი; სახელად ხრისტაგანი დაარქვი. ეს ბეჭედი მაშინვე მარჯვენა ხელის თითზე წამოაცვი: მისდღეში არ წამოიძროს, — სულ თითზე ჰქონდესო.

ტყისკაცი დაბრუნდა თავის ადგილას. ქალი შევიდა თავის სახლში. დედ-მამამ რო დაინახა, გაეხარდათ:—ჩვენი შვილი მოსულაო.

მეორე დღეს გამართეს დიდი წვეულება: ბევრი კაცი ჰყავდათ დაპატიებულნი. შუადღისას ქალს მუცელი ასტკივდა; დააწვინეს ლოგინად და ეყოლა ვაჟი. დედამ თქვა:—ამის სახელი ხრისტაგანი იყოს, რადგან ამისმა მამამ ასე დამაბარაო. ყველა თანახმა გახდა. მამის ბექედი მარჯვენა ხელის თითზე წამოაგეს. გავიდა სამი თვე. ბავშვი კარგ ლონიერად ნახეს. ხელმწიფეს გაეხარდა: „ეს ვილაც ურიგო კაცის შვილო არ უნდა იყოს“.

ამდენი რა გავაგრძელო: ბავშვმა მინდორში თამაში დაიწყო სხვა ბავშვებთან. ერთ დღეს თავის ბაბუა-ხელმწიფეს უთხრა:—

—გამიკეთებინე მშვილდ-ისარი, ორივე ფოლადის; ისეთი, რო წონით ორასი ფუთი იყოსო.

—ძალიან კარგიო,—უპასუხა ბაბუამ. თუმცა შვილიშვილის ასეთი სურვილი ბაბუას არ მოეწონა, მაინც გააგზავნა კაცი მჭედელთან. გამოჰქედა მშვილდ-ისარი, მაგრამ მისი მოტანა საქნელო შეიქნა. გააგზავნა ხელმწიფემ კამეჩები ურმებით, და დიდი ცდით მოიტანეს. როდესაც ეზოში შემოვიდნენ, ბავშმა დაინახა, გაიქცა, მიეგება ურემს, მოჰკიდა ხელი მშვილდ-ისარს და უცებ აიღო. ყველას გაუკვირდა: „ეს ფარსაგი კაცი არ იქნებაო“!

ხრისტაგანმა დაიკავა ხელში ისარი და ზევით აისროლა. უმზირეს სხვა კაცებმა, მაგრამ თვალიდან დაეკარგათ ისარი, ისე მაგრად გაესროლა. ბევრი ხნის შემდეგ ისარი მიწაში ჩაირქო. ისარი რომ ამოეძროთ მიწიდან, სამოცი კაცი მივიდა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამ დროს გაიქცა ხრისტაგანი, მივიდა და თავისი ისარი უცბად აიტაცა. ეს რა ნახეს, ყველა ამბობდა: „ეს უნდა იყოს ტარიელების ბატონიო“.

ხრისტაგანმა დაიწყო სანადიროდ სიარული. ისეთი სალამო არ იქნებოდა, სხვადასხვა ნადირა არ მოეტანა. ახლა სრულიად გაიზარდა ხრისტაგანი. მისი ყველას ეშინია, რადგან იმის მზგავსი მაგარი ბავშვი დღემდის არავის ენახა.

ერთხელ ხრისტაგანი წავიდა სანადიროდ. იარა ბევრი, მაგრამ ვერაფერი მოჰკლა. სალამოს დაბრუნდა თავის სახლში. შარას რო შეწუხებული მოდის, გაიხედა ერთი მინდვრისაკენ და დაინახა, რომ ქალს მხარზე უდგია წყლით სავსე ფოხალი. ხრისტაგანმა იფიქრა: აბა ეს ფო-

ხალი მხარზე თუ დავატეხო. ესროლა ისარი, მოარტყა ფოხალს და გასტეხა. ქალი გაიწუწა. მიბრუნდა და უთხრა ხრისტაგანს:

— დედა-შვილო, ჩემი ფოხალი რომ არ გატეხო, სხვა ვერაფერი იშოვე სასროლიო? ახლანდელმა ბავშვებმა ხელზე ბეჭდის წამოცმა იცით; ეს სხვა ძველმა ტარიელებმა არ იცოდნენო. —

ხრისტაგანმა არა უთხრა რა. წამოიძრო იმ წამს ბეჭედი და ჯიბეში ჩაიდვა. მოვიდა თავის სახლში. იმ დამეს გულ-ჯავრიანმა დაიძინა. მეორე დილას წამოდგა, საჭმელი ქამა, დედას დაუძახა — აქ მოდიო. დედა მივიდა.

— ერთს გკითხავ, და არ დამიმალო: უნდა მითხრა, ვინ არის მამა-ჩემი.

დედა შეწუხდა, მაგრამ რა უნდა ექნა? უთხრა: —

— მამა-შენი ტყის კაცი. ის მუდამ ტყეშიცხოვრობს. ღვთისადმი პირობა აქვს მიცემული, რომ კაცს არ ეჩვენოს.

— საით არისო? — ჰკითხა ხრისტაგანმა.

დედამ უთხრა: — ამა-და-ამა მხარესაო, — და თითოთ აჩვენა.

მონახა ხრისტაგანმა თავისი რაში, რომელზედაც ჯერ არავინ მჯდარიყო. გამოიყვანეს რაში ჯაჭვებით. მივიდა ხრისტაგანი, გადაუსვა ხელი და უცებ უნაგერი მოადგა. აიღო თავისი მშვილდ ისარი და სახლში დაიბარა: „მამა-ჩემის საძებრად მივდივარო“.

შეაჯდა რაშს, მოუქნია და წავიდა ზევით-ზევით ჰაერში. იმ ტყის ახლოს დაასკუბა ცხენი. შევიდა ტყეში, ეძია მამა-მისი, მაგრამ ვერა ნახა. მამა-მისი თურმე დევებს გაჰკიდებოდა, რადგან მათ ხეები დაეობრებინათ. აქეთ რომ მობრუნდა ტყის კაცი და მოდის, შეხედა, რაში ტყეში ბალახობს და ვაჯი თავისთვის დასეირნობს.

— ჰეი! რა კაცი ხარ? — დაუძახა ტყის-კაცმა. — ვინა ხარ, რომ ჩემ ტყეში შემოსვლა გაბედეო?

— მე ვარ, რა გნებავს? მობძანდი, თუ რამე შეგიძლიაო, — დაუძახა ხრისტაგანმა.

— ჩემი წამოძახება ხრისტაგან — ტარიელის მეტს სხვას ვერ უნდა გაებდნაო, — დაუძახა ტყის კაცმა.

მაგრამ ხრისტაგანმა არ იკადრა სახელის თქმა, აიღო თავისი ისარი და სტყორცნა ტყის-კაცს. ტყის კაცმა ხელით დაიჭირა ისარი. უყურა ხრისტაგანის ხელს, მაგრამ ბეჭედი ვერ შენიშნა: „ეს ჩემი შვილი არ

უნდა იყოს, თორემ ხელს ბეჭედი ექნებოდაო“, იფიქრა. მოიმარჯვა ტყის-კაცმა მშვილდ რსარი და ესროლა. მოხვდა ხრისტაგანს. წაიქცა და სული განუტევა. მოვიდა ტყის-კაცი, დააქტერდა მკვდარს, ხელები გაუსინჯა, მაგრამ ბეჭედი ვერ იპოვა. „ეგებ ჯიბეში რამე ედევასო“, იფიქრა მან. ჩაუყო ხელი ჯიბეში და ამოუღო საფულე. გახსნა, ამოიღო ქალაქში გამოკრული პატარა ნივთი. გახსნა ქალაქი და დინახა მისი მინაცემი ბეჭედი. ერთი დაიღრიალა და თავი ხეს ახეთქა. წაიქცა ხე. მეორე ხეს დაეტაკა, — მეორე წაიქცა, მესამე .. და ასე სულ დააგო ტყე. მობრუნდა ისევ ხრისტაგანთან, წაიშინა თავში ხელი და კიდევ შეჰბლავლა. ტირის ტყის-კაცი განუწყვეტლივ და თავს ხეებს ახეთქებს. დევებს შეეშინდათ. „ეს რაღაც კარგი ანბავი არ უნდა იყოსო“, — თქვეს და ყველანი სხვა ადგილებში გადაცვიდნენ.

ტყის-კაცი უფრო და უფრო მეტს ბლავის, ისე რომ ღმერთმა გაიგონა ტყისკაცის ღრიალი. დაუძახა ღმერთმა მტრედს და უბრძანა: „წადი — ნახე, რა არი, იმ კაცს რომ უჭირსო“.

წამოვიდა მტრედი, ნახა: მკვდარი მინდორზე ძევს; ერთი კაცი მივა ახლოს, წაიშენს თავში ხელს, დაიწყებს ბლავილს, არტყამს ხეს თავს, წაიქცევს ხე და აქეთ-იქით ხეებსაც ანადგურებს. შემოლევია ახლო-მახლო თავის მოსარტყამი ხეები. თუ რას შვრებოდა ეს კაცი, ყველაფერი ნახა მტრედმა. ისე უფრთხილდებოდა ტყის-კაცი მკვდარს, რომ ზედ ბუზიც ვერ გადაიფრენდა.

წავიდა მტრედი და ყველა ეს ამბავი ღმერთს მოახსენა. ღმერთმა მისცა მტრედს ერთი ცხვირსახოცი და უთხრა: „შენ ეს წაიღე ნისკარტით, მიდი მკვდრის ახლოს, დაუდარაჯე იმ კაცს: როდესაც წავიდეს ხეზე თავის შემოსაკრავადო, მაშინ ეს ცხვირსახოცი ზევიდან დააგდე მკვდარს სახეზე. შენ თავს გაუფრთხილდი“.

მტრედმა წაიღო ცხვირსახოცი, იშოვა დრო, დააფრინდა მკვდარს და ცხვირსახოცი სახეზე დააგდო; თითონ გაფრინდა. ტყის-კაცი რომოდის და მოღრიალებს, ნახა, მკვდარი ვაჟი ფეხზე დგას. გაექანა, ეტაკა, გადაკოცნა და ჰკითხა, — სახელი რა ქვიაო.

— ხრისტაგო, — უთხრა მან.

ახლა ყველაფერი გაიგეს ერთიმეორეს ამბავი, მამა და შვილი არიან. ხრისტაგანი ბევრ ხანს დარჩა მამა-მისთან. ბოლოს ტყისკაცმა უთხრა თავის შვილს: —

— შენ ახლა სახლში წადი, და იცოდე—ამხანაგად მოიკიდე ბელთაგანი-ტარიელი, რუვი ტარიელის შვილიო.

გამოეთხოვნენ ერთმანეთს. წავიდა ხრისტაგანი თავის გზას.

მიდის ხრისტაგანი თავის გზას და ფიქრობს: „მე ბელთაგანი-ტარიელი უნდა მოვძებნოო“. შემოუქნია რაშს და ერთი ზღვის პირას გადახტუნა. გაჰყვა გზას; იარა, იარა ეს ღამე, დილა — და მიაღვა გზაჯვარედინს. ერთი გზისაკენ რო გაიხედა, რალაც ყვავის ოდენა გამოჩნდა. იფიქრა, ნამდვილად კაცი უნდა იყოსო. გაუქნია რაშს, მიაღწიეს ერთმანეთს. ჰაერი მოაწვა ხრისტაგან ტარიელს, ისე რომ სიარულს უშლიდა, მაგრამ ხრისტაგანის ჰაერიც იქით აწვებოდა იმ მხრიდან მოშავალ კაცს. ხრისტაგანმა იცნო: ნამდვილად ეს უნდა იყოს ბელთაგანი-ტარიელიო. ბელთაგანიც მიხვდა: ნამდვილად ხრისტაგანი-ტარიელი უნდა იყოსო, იქედან რო მოდის, ისაო.

მიუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ წინდაწინ გამარჯვება არც ერთმა სთქვა, და არც მეორემ. აუარეს გვერდი ერთმანეთს. მობრუნდა ხრისტაგანი და დაუძახა:—

— გამარჯვება, ძმაო, ბელთაგანო-ტარიელიო!

მობრუნდა ბელთაგანი და უთხრა:—

— გაგიმარჯოს ღმერთმა, ძმაო, ხრისტაგანო-ტარიელიო!

ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და გადაკოცნეს. დასხდნენ ერთი ხის ჩრდილში, მოისვენეს და დაიწყეს ლაპარაკი... ბელთაგანმა თქვა:—


— ერთ ადგილას დევები მოსახლობენ. გარეშემო გალავანი აქვთ და რკინის კარები ჰკიდია. ეზოს ირგვლივ გარედან ცხელი წყალი უდის, ისეთი, რო რასაც მიესხმება, დასწვავს. ამ დევებს ჰყავთ ერთი ისეთი და, რო მზე და მთვარესავით ბრწყინავს. მაგრამ რა გამოვიდა? წყალში არ გაისვლება; წყალში თუ გახვედი, გალავანში არ შეისვლება; ეზოს კარებში არ შეისვლება, მისთვის რო თითო ჭიშკარი ათასი ფუთიანია.

— აბა, ძმაო, ბელთაგან-ტარიელიო, წავიდეთ იმ ადგილას; რაც რო დავგეშართება, ღმერთია მოწყალე, — უთხრა ხრისტაგან ტარიელმა.

ადგნენ ტარიელები, შეაჯდნენ თავთავის რაშებს, გაუქნიეს და მივიდნენ დევების ახლოს, საღაც ცხელი წყალი ირგვლივ უვლის, — იქ ბელთაგან-ტარიელმა უთხრა:—

— აჰა, ძმაო, ეს არის ის წყალი. რით გაისვლება აქეთკენ?

— ჰე, ძმაო ბელთაგან, — უთხრა ხრისტაგანმა, — მე რო გითხრა „ჰე,“ იმ დროს რაშს მათრახი დაჰკარი ისეთი, რომ უმწარესი არ იქნებოდეს.



ხრისტაგანმა მოჰკიდა ხელი ბელთაგანის რაშის კუდის ძირს და დაუძახა: — ჰე, ბოშო!

დაჰკრა ბელთაგანმა მათრახი რაშს. ამ დროს აიყვანა ხრისტაგანმა რაში კუდით და გაისროლა გაღმა. ბელთაგანი ამნაირად გაღმა გახტა.

ხრისტაგანმა დაჰკრა მათრახი თავის რაშს და გახტა გაღმა ნაპირს. ამ დროს დაღამდა. მივიდნენ გაღმავანის პირთან და იმ ღამეს იქ მოიხსვენეს. დილით, როგორც-კი მზის სინათლე მოეფინა ქვეყანას, აღდგნენ ორივე ტარიელები. ბელთაგანმა უთხრა ხრისტაგანს: —

— ახლა როგორ უნდა მოვიქცეთო?

— წამო, ძმაო, აქეთ! — უთხრა ხრისტაგანმა. წავიდნენ რკინის კარებისაკენ. მოჰკიდა ხელი ხრისტაგანმა, ორივე კარი მოჰგლიჯა. მაგრამ ამ დროს დევები გამოღვიძებული არ ყოფილან. როდესაც შუა ეზოში შევიდნენ, გაიგეს დევებმა, გამოცვინდნენ გარედ; მაგრამ ხრისტაგან-

ტარიელი წავიდა წინ, იძრო ლეკური და დაერია დევებს. ორივე ტარიელი საღამომდის სჭრიდნენ და ჟღერდნენ დევებს. ყველა გაწვიტეს და ბოლოს სახლში შევიდნენ. ნახეს, კაცის თვალი უკეთესს რო ვერ ნახავდა, ისეთი ქალიშვილი. ქალს შეეშინდა.

— არ შეგეშინდესო, — უთხრეს ქალს ტარიელებმა და დაამედეს. ტარიელები დაწვნენ ლოგინზე და მოისვენეს დაღალულებმა. მეორე დღეს დილით წამოდგნენ ტარიელები, საქმელი სქამეს, გაიარ-გამოიარეს, მაგრამ ბელთაგან-ტარიელს ყველაფერი უხამად მიაჩნდა, მისთვის რომ ეს ქალი შეუყვარდა. ამასთანავე ხრისტაგანისაც ეშინოდა: ეგებ მას უყვარდეს და მას უნდოდეს ცოლადო.

შუადღეზე სახლში შევიდნენ ტარიელები და ეს ქალიც. დასხდნენ ყველანი. ხრისტაგანმა სთქვა:—

— ძმაო ბელთაგან ტარიელო! ეს იყოს შენი ცოლი და ჩემი რძალი.

ბელთაგანს გაეხარდა; მაგრამ ქალს ცოტა ეწყინა, რადგან ხრისტაგან-ტარიელი უკეთესი იყო. ორი თვე ერთად იყვნენ. ხრისტაგანმა უთხრა ბელთაგანს:—

— მე, ძმაო, ახლა უნდა წავიდე. თქვენ იცით, როგორ ჭკუიანად იქნებითო.

გამოუყვანეს რაში ხრისტაგან-ტარიელს. ბელთაგანის ცოლმა გამოიტანა აბგათი რადაც საქონელი, მისცა ხრისტაგანს ხელში და უთხრა:—

— ამაში ძვეს სამნაირი ტანისამოსი: ერთი — ოქროსი, მეორე — ყველაფერი ვერცხლისა, და მესამე — ყველაფერი სპილენძისა.

გამოართვა ხრისტაგანმა აბგა და რაშს უკან მიაკრა. ამოიღო ჯაყვა,*) მისცა ბელთაგანს და უთხრა:—

— მე, ძმაო, გაჭირვებული ვიქნები, როდესაც ამ ჯაყვის პირი ასისხლიანდებო.

გამოეთხოვენ ერთმანეთს. წავიდა ხრისტაგანი თავის გზას.

ხრისტაგანმა მოუქნია რაშს და ზღვის პირს გადაახტუნა. შარას რომ მიდის, ერთი დედაბერი დაინახა და ჰკითხა:—

— ეს სადაური სახელმწიფოაო?

— ეს შავი ხელმწიფის სახელმწიფოაო, — უთხრა დედაბერმა.

— ამ ზღვას გაღმა რა არისო?

— ნანა-შვილო, — უთხრა დედაბერმა: — გაღმა თეთრი ხელმწიფეა.

*) პატარა დასაკეცი დანა.

იქაურ სახელმწიფოს მცხოვრებლები ყველანი გახარებული არიან. იმ ხელმწიფეს ჰყავს სამი ქალიშვილი.

ეს რო გააგონა ხრისტაგანმა, — მშვიდობით, დედა, — უთხრა დედაბერს და გასწია. ცოტა რო წინ წაიწია, ხრისტაგანი გადმოხტა რაშიდან; ამოიღო აბგიდან სპილენძის ტანისამოსი; თავისი ტანისამოსი



გაიძრო და სპილენძისა ჩაიცვა. შეხტა ზღვაში რაშით, მოუქნია და გაღმა ნაპირს გავიდა. ერთი დღის გზა გაიარა ხრისტაგანმა, გადმოვიდა რაშიდან, მოხადა უნაგირი, ამოიღო აბგიდან ოქროსა და ვერცხლის ტანისამოსი. ე ენი რაშის ყურში ჩაალაგა და უთხრა რაშს: „წადი, იბალახე; როდესაც დაგიძახო, მაშინვე მოდიო“.

რაში წავიდა საბალახოდ. ხრისტაგანი გაჰყვა მინდორს და ხელმწიფის სასახლეს მიუახლოვდა. ამ დროს მელორე თავის ღორებს მოერეკებოდა. ხრისტაგანმა უთხრა მელორეს: — შენი ტანისამოსი მე მომეცი, და ჩემი შენა გქონდესო.

მელორე ცოტა ხანს გაჰკვირდა და შემდეგ უთხრა ხრისტაგანს: — ჩემი ტანისამოსი დაგლეჯილია, შენი კი სპილენძისა არისო. — შენ რას დაეძებ, — უთხრა ხრისტაგანმა.

გახადა მელორეს მისი ტანისამოსი და თავისი სპილენძის ტანისა-

მოსი მისცა. ჩაიცვა მელორემ და წავიდა. ხრისტაგანმა კი მელორეს ტანისამოსი ჩაიცვა.

მიდის შარას მელორე და თან უკან იხედება, ეს სპილენძის ტანი-სამოსი ისევ არ წამართვასო. ამ შიშით გულში მელორე თავის სახლში მივიდა.

ახლა ამდენი რად მოვაწყინოთ. ხრისტაგანიც ხელმწიფის ქიშკარ-თან მივიდა. კარი გაღებული დახვდა. შევიდა შიგ. ხელმწიფის მოსამ-სახურებმა რო დაინახეს, ერთმანეთს დაუძახეს: „გლახაკი მოდისო“. ერთმა მოსამსახურემ სთქვა: „ეს მე მინდა, ჩემ დამხმარედ, საჯინბოს გამოსაწმენდად მოვიხმარო“. მეორემ სთქვა: „რასა ლაპარაკობ, ეს მე მინდა ეზოს დამგველადაო“. მაგრამ მეეტლე წამოესწრო მათ ლაპარაკს და მან წაიყვანა ხრისტაგანი ცხენების მწმენდელად.

ხრისტაგანს ჰქონდა ხუჭუჭი თმა და ამისათვის მოსამსახურებმა დაარქვეს სახელად „ქოჩორა“. არის ქოჩორა აქ და წმენდს ცხენებს. ისეთი წმენდა იცის, უკეთესს კაცის ხელი ვერ გასწმენდს. ერთ დღეს ხელმწიფე სასეირნოდ წავიდა ეტლით. ცხენებს დაუკვირდა და მეეტლეს ჰკითხა:—

— ეს ცხენები ვინ გასწმინდაო?

— ერთი გლახაკი მოვიდა, ქოჩორას ვეძახით, ისა მყავს ცხენების მწმენდელადო, — მოახსენა მეეტლემ.

სალამოს ხელმწიფე დაბრუნდა სასახლეში და ქოჩორა დაინახა. გაეხარდა ხელმწიფეს; ქოჩორა მზარეულს მიაბარა და უბრძანა:—

— ამას საჭმელების კეთება ასწავლეო.

ქოჩორა ჰყავდა მზარეულს ერთი თვე, და ყველაფრის კეთება დაი-სწავლა. ერთხელ მზარეული არ იყო, და ქოჩორა მარტო აკეთებდა საჭმელებს. გააწყვეს სადილი. ხელმწიფე მაგიდას მოუჯდა. საჭმელები ერთი მეორეზე უკეთესი იყო. ხელმწიფემ მოიწვია ქოჩორა და უთხრა:—

დღეის შემდეგ შენ იქნები ჩემი ბალის მუშების უფროსი; შენ უნდა მისცე მათ გეგმა, თუ როგორ უნდა ბალს კეთება.

მადლი შესწირა ქოჩორამ ხელმწიფეს. მეორე დღეს დაადგინეს ქოჩორა მებაღედ. ქოჩორამ ისეთი ხელი გამოიღო, რომ ნახევარი წლის შემდეგ ბაღში შესვლის ღირსი არავინ იყო.

შუა ბაღს ბოჭკები იდგა წყლის ჭურჭლებად. ამ ალაგას მუშები მოვიდნენ. ოცი კაცი ბოჭკებს ეზიდებოდა, მაგრამ ერთი ბოჭკა ისეთი

ერია, რომ ასი კაციც ვერ აიღებდა. სალამოს ქოჩორა შევიდა ბაღში, მიიხედ-მოიხედა, მოჰკიდა ხელი ამ დიდ ბოჭკას, აიღო და მეორე ადგილას დასდგა. ამ დროს ზემო სართულიდან ხელმწიფის უმცროსმა ქალმა დაინახა ის, რაც რო ქოჩორამ ქნა.

ცოტა ხნის შემდეგ ხელმწიფის ქალები ჩამოვიდნენ ძირს და წავიდნენ ბაღში სასეირნოდ. ბაღში რო სეირნობენ, ამ დროს ქოჩორას თურმე ხის ძირში დასძინებია. წინ მიდის უფროსი ქალი, უკან მისდევს საშვადი, და სულ ბოლოს—უმცროსი. ეს უმცროსი ქალი დააცქერდა ქოჩორას, რომელსაც გულ-მკერდ გახსნილს ეძინა. ქალი დაუკვირდა და



მიხვდა, რომ ურიგო კაცის შვილი არ იყო ქოჩორა, და რაც ღონე ჰქონდა, ეს ისედაც ხომ იცოდა. ავიდნენ ქალები ზემო სართულს, ამ უმცროს დას სულ ქოჩორას ფიქრი აქვს.

გავიდა სამი დღე. ხელმწიფემ თავისი ვეზირები შეჰყარა და უთხრა:—

— ეს ჩემი ქალები ყველა ერთ დღეს უნდა გავათხოვო.

— ძალიან კარგი, ბატონო, — მოახსენეს ვეზირებმა, — მაგრამ სიძეები საიდან უნდა მოვიდნენო?

— ყველა სახელმწიფოდან უნდა შევეყაროთ ახალგაზდა კაცები, — სთქვა ხელმწიფემ, — იმ დღეს წვეულება უნდა გავმართოთ, სტუმრები ყველა სეფას უნდა დავაჯდინოთ. როდესაც შუა სმა-ჭამა იქნება, იმ დროს უფროსი ქალი უნდა შევიდეს სეფას; ერთი ვაშლი უნდა მივსცეთ ხელში და ქალი უნდა დაჰყვეს სეფას, სადაც რო სხედან ყმაწვილები; ვისაც რო საქმროდ ამოირჩევს, იმას უნდა მისცეს თავისი ვაშლი. საშვალის და უმცროსიც ასე უნდა მოიქცნენო.

ვეზირები დასთანხმდნენ. მეორე დღეს დააგზავნეს ყველა სახელმწიფოში ქალადები. დანიშნულ დროს გამართეს ღვინო. მივიდნენ სტუმრები; ხელმწიფის შვილებიც არიან სხვა-და-სხვა სახელმწიფოდან. ვინც კი ვარგოდა, ყველა ვაჟი იქ იყო. დასხეს ყველანი. შუა სმა-ჭამა რო შეიქნა, გამოიყვანეს უფროსი ქალი. აქეთ-იქით ორი კაცი მოჰყვება. მიიყვანეს სეფას კარს, მისცეს ხელში ვაშლი, და უთხრა ხელმწიფემ: —

— შვილო, ვინც რო შენ საქმროდ გინდა, იმას ეს ვალში ხელში ჩაუდგეო.

დაჰყვა ქალი სეფას. ვაჟებმა ამ დროს უღვაშის გრება დაიწყეს; ზოგმა თავზე ხელი გადისო, ზოგმა მაგრად დაახველა, ეგებ მე შემომხედოს ქალმაო; მაგრამ ის სულ იქით-იქით მიდის. დარჩენილმა ვაჟებმა სიკვდილი გაიარეს. იარა, იარა ქალმა და ბოლოს ვაშლი ერთ ვაჟს მისცა. ყველამ ვაშა დაიძახა. ააყენეს სასიძო ვაჟი. ქალი და ის ორივე ზემო სართულში აიყვანეს. ეს ვაჟი გარეშე ხელმწიფის შვილი იყო.

ახლა სეფას საშვალის ქალი დაჰყვა. ყმაწვილებმა მაშინვე დაიწყეს უღვაშის გრება, ვინ ხველება, ვინ ცხვირსახოცის ამოღება და ცხვირის წმენდა, მისთვის რომ ის ცხვირსახოცები ყველა ძვირფასი იყო. იარა, იარა ქალმა და ბოლოს ვაშლი ერთ ვაჟს მისცა. მაყურებლებმა ვაშა დასძახეს. ეს ვაჟიც გარეშე ხელმწიფის შვილი იყო. ქალი და ვაჟი ორივე ზემო სართულში აიყვანეს.

ახლა მესამე ქალი, უმცროსი, მოიყვანეს და ისიც სეფას დაჰყვა. ვაჟებმა დაიწყეს ქვეშ-ქვეშ ცქერა, არა მე მომცემს ვაშლს, და არა მეო; მაგრამ ეს ქალი სულ იქით-იქით მიდის. ვაჟებს ტყუილად თვალები დაებრიცათ ქალმა გაიარა სეფა, მაგრამ ვაშლი არავისთვის მიუცია. ხელმწიფემ ჰკითხა თავის ქალს: —

— რა არი, შვილო, არც ერთი კაცი არ მოგეწონა?

— ყველანი. რა სხედან სეფაში, — უთხრა ქალმა.

— დააჯღინეთ ყველანი, — ბრძანა ხელმწიფემ.

დასხეს ყველანი, გარდა ხელმწიფის მოსამსახურეებისა.

— ჰე, შვილო, წადი ახლა! — უთხრა ხელმწიფემ ქალს.

ქალი დაჰყვა ხელმეორედ სეფას, მაგრამ ვაშლი ახლაც არავის მისცა.

— რა არი, შვილო: კაცი კიდევ აკლია?

— კიდევ სრულად არა სხედან კაცები, — უთხრა ქალმა.

— არავინ არ დატოვოთ, ვისაც კი უღვაში ასხია, — ბრძანა ხელმწიფემ.

მოიყვანეს ყველანი და დააჯღინეს. დაჰყვა ქალი. ვაჟებმა ყურები სცქვიტეს, მაგრამ ამ ქალს მაინც არა ეშველა-რა. იარა, იარა, იარა, — მიაღწია ქოჩორას ახლოს. ხელი რომ ასწია, ყველას გაუკვირდა, მაგრამ ვაშლი ხელში ჩაუდო ქოჩორას. არც ვაშა დაიძახეს და არც არაფერი. ყველა ერთმანეთს მისჩერებოდა.

რა ქნა, ჯიმა ლურელი *), ამ ქალმა? სულ დაღუპული არა ყოფილა!

ააყენეს ქოჩორა და მისი ცოლი.

— საცხენე ფაცხა რომ იღვა, იქ წადიო, — უთხრა ხელმწიფემ: — ამისი ბედი გქონებია: ყოველთვის მკვდარი იყავი და ღღეს კი სულ მომიკვდიო.

ქოჩორა და მისი ცოლი ფაცხაში შევიდნენ და იქ დასხდნენ. მონარჩენი საკმელები მოსამსახურემ გობით მიუტანა.

სტირის ქალი, მაგრამ რა ქნას? ქოჩორამ მოიფთხნა და კერიასთან ჩაჯდა. ეს ორი სიძე და მათი ცოლები ზემო სართულში დათამაშობენ.

გავიდა დრო და ხანი. ხელმწიფე ავად გახდა და ვერავითარმა ექიმობამ ვერ უშველა. დასხდენ ვეზირები, გაარჩიეს საქმე, როგორ უჯობს ამ ჩვენი ხელმწიფის ავადმყოფობასაო. ბევრი სხვა-და-სხვა ილაპარაკეს, მაგრამ ერთმა სთქვა: —


ამა და ამ მთაში არის ერთი გარეული ღორი. იმის გულსა და ღვიძლს ვინ მოიტანს, თორემ ნამდვილად მოუხდება ხელმწიფესო.

— ვინ მოიტანს, და სიძეებიო, — თქვეს ვეზირებმა.

უთხრეს ეს სიძეებს. გამოეწყო ორივე სიძე და წავიდნენ წამლის საშოვნელად. ეს რო ქოჩორამ გაიგონა, ხელმწიფის ცოლს კაცი მიუ-

*) ძმა-მკვდარი (ლანძღვა).

გზავნა: „მეც მივდივარ და ცხენი მომეცითო“.
ხელმწიფის ცოლმა თქვა: —



ქალმა ვაშლი ხელში
ჩაუღო ქოჩორას.

— მიეცით საფქვილე ცხენი: ეგებ სადმე დაიღუპოსო.
მოუყვანეს ქოჩორას ერთი მუნღიანი ცხენი. დაუდგეს დაგლეჯილი
უნაგირი. შეჯდა ქოჩორა და წავიდა. ბავშვებმა სტვენა დაუწყეს: „ქო-
ჩორა მიჰქრის, მიაქენებს“.

ქოჩორას ცხენი მიძანძალებს ურიის ცხენივით. იარა ქოჩორამ და იქ მივიდა, სადაც რაში დასტოვა. დაუძახა რაშს; რაში მოვიდა. ცხენი იქ მინდორს დატოვა; დაგლეჯილი უნაგირი ტყეში შეინახა. ამოიღო რაშის ყურიდან უნაგირი და ტანისამოსიც. დაჰკრა რაშს მათრახი, და რაში იმ მთაზე დასკუბდა, სადაც გარეული ღორი ცხოვრობდა. გადმოხტა რაშიდან და დაასადავა. თვითონ ჩრდილში დაწვა. გავიდა ცოტა ხანი და ორივე სიძემ თავი ამოჰყვეს. გაიხედეს, ნახეს: რაში ჩრდილქვეშ დგას, და ერთ კაცს ჩრდილში სძინავს. კარგად რომ დაუკვირდნენ, თქვეს: „ნამდვილად წმინდა გიორგი უნდა იყოს“. ჩამოხტნენ ცხენებიდან, დაიწყეს პირჯვარის წერა. მიუახლოვდნენ და დაიჩოქეს. ქოჩორამ უთხრა:—

— რა გინდათ, რა გაგქირვებიათო?

— ჩვენ მოვდივართ ამა და ამ საქმისათვისო, — ყველაფერი უთხრეს სიძეებმა.

— ის ღორი აი სად არისო; წადით, ან მოჰკალით, ან და აქეთ გამოორეკეთო, — უთხრა მათ ქოჩორამ.

წავიდნენ, მაგრამ ვერც მოჰკლეს და ვერც გამოორეკეს. ადგა ქოჩორა, წავიდა. მოჰკლა ღორი და სიძეებს უთხრა:—

— გასჭერით, გამოიღეთ გული და ღვიძლი!

მივიდნენ, გასჭრეს, შევიდნენ ღორის მუცელს და ძლივს გამოიღეს გულ-ღვიძლი.

— მოდი აქ, — უთხრა ქოჩორამ უფროს სიძეს, — ცერი მაჩვენეო!


მოჰკიდა ქოჩორამ ხელი და ფრჩხილი ააძრო.

— ახლა წადითო! — უთხრა ქოჩორამ.

დიდი მადლობა უთხრეს სიძეებმა ამ ღვთის სწორ კაცს და წამოვიდნენ. მოაწიეს შუა შარას; ძალიან ხათრიანად კი მოდიან. შევიდნენ ხელმწიფის ეზოში. აათამაშეს ცხენები და გადმოხტნენ. შემოეგებნენ სიდედრი და ცოლები. „მოვიტანეთო“, — უთხრეს სიძეებმა. ყველას გაეხარდა. მოხარშეს და დააღვეინეს ხელმწიფეს. ხელმწიფე მორჩა. იყო დიდი სიხარული: „ჩვენი სიძეები ტარიელები არიანო“, — ამბობდნენ.

ქოჩორა მთაზე რომ იყო, შეჯდა რაშს. დაჰკრა მათრახი, და სადაც მისი ცხენი იყო — იქ დაასკუბა. ტანისამოსი გაიხადა, ისევ რაშის ყურში შეინახა. უთხრა რაშს: „წადი, იბალახეო“. დაიჭირა ცხენი,

მოადგა დაგლეჯილი უნაგირი, წამოვიდა ხელმწიფის სასახლეს. კიშკარს



რო უვიდა, ბავშვებმა დაინახეს. დაიწყეს სტვენა: „ქოჩორა მოდის, მოაქენებს, ღვიძლი და გული მოაქვს“.

ამ დროს ქოჩორას მეუღლემ გაიხედა ფაცხიდან. გული მოუკვდა: მიიფაფეება ქოჩორა მისი ცხენით. სიძეებმა რო დაინახეს, სიცილი და-აყარეს. ხელმწიფის ცოლმა სთქვა: „ეს კიდევ არ დალუპულაო“?

გაღმოვიდა ქოჩორა ცხენიდან, შევიდა ფაცხაში, ცოლს უთხრა:—

— საკმელი არა გაქვს რაო?

— ეგერ თუჯიას ეგებ ცოტა რამე იყოსო,— უთხრა ცოლმა.

ადგა ქოჩორა, გამოიღო თუჯია, შექამა საკმელი და დაწვა ლო-გინს.

გავიდა ერთი თვე. ხელმწიფე კიდევ ავად გახდა, თვალის სინათლე დაეკარგა. ისევ მოხვდა ვეზირობა. ბოლოს თქვეს: „ამა და ამ მთაში ერთი ირემი არისო; იმის რძეს ვინც მოიტანს, ის მოუხდებაო“.

— ამას ვინ მოიტანსო? — თქვეს.

— ვინ მოიტანს, — ისევ სიძეებიო, — თქვა ერთმა.

უთხრეს სიძეებს; — „კარგიო“, თქვეს. — გამოეწყყნენ, გადააჯდნენ თავ-თავის ცხენებს და წავიდნენ. ეს რო ქოჩორამ გაიგო, ხელმწიფის ცოლს შეუთვალა: „მეც მივდივარ, და ცხენი მინდაო“.

— მიეცით ისევ ის ცხენი და უნაგირიო, — სთქვა ხელმწიფის ცოლმა.

მოუყვანეს ქოჩორას ცხენი; შეჯდა ზედ და წავიდა. ბავშვებმა უსტვინეს.

ქოჩორა მიიქაჩება მისი ცხენით. მივიდა, სადაც რაში ჰყავდა — იქ. ჩამოხტა ცხენიდან, უნაგირი ტყეში შეინახა. დაუძახა რაშს; რაში მოვიდა, ამოიღო ყურიდან უნაგირი და ოქროს ტანისამოსი. ჩაიცვა და შეჯდა რაშზე. დაჰკრა მათრახი, — გასწია რაშმა ზევით-ზევით ჰაერში და იქ დასკუბდა, სადაც ის ირემი იყო. რაში ჩრდილში დააყენა; თითო-ნაც ხის ძირს დაწვა. გავიდა ცოტა დრო, მოვიდნენ სიძეები. ნახეს ყველაფერი.

— ხედავ, ძმაო, — უთხრეს ერთმანეთს: — ეს ნამდვილად ღმერთი უნდა იყოს, ჩვენი საქმე კარგად არისო.

მივიდნენ ახლოს. დაიწყეს პირჯვრის წერა და დაიჩოქეს. ქოჩო-რამ უთხრა: „რა ამბავია, რა გინდათო“? იმათ ყველაფერი უამბეს; რაც უჭირდათ.

ადგა ქოჩორა, წავიდა, დაიჭირა ირემი, მოწველა და რძე მოთლში ჩაასხა. მისცა სიძეებს და უთხრა საშვალის დის ქმარს — „აქ მოდიო.“ მოჰკიდა ყურიში ხელი და მარჯვენა ყური აავლიჯა. „ახლა წადითო“, —

უთხრა მათ. სიძეები წამოვიდნენ. მოიტანეს რძე, ჩაახეს ხელმწიფეს
თვალეში. ხელმწიფე მორჩა.

ქოჩორა კი შეჯდა რაშხე და იქ გაჩნდა, სადაც ცხენი ჰყავდა და-
ტოვებულნი. რაში საბალახოდ გაუშვა; ოქროს ტანისამოსი ყურებში
ჩაუდვა. შეაჯდა თავის მუნთან ცხენს და წამოვიდა სასახლეს. ბავშვებმა
უსტვინეს. ქოჩორას ცოლს გული მოუკვდა ამის გამო, მაგრამ რას იზა-
მდა. შევიდა ქოჩორა ფაცხაში, შექამა ცივი ღომი და დაწვა ლოგინში.

გავიდა ბევრი ხანი. ერთხელ ერთმა ხელმწიფემ ამ ხელმწიფეს შე-
მოუთვალა: „ამა და ამა დროს უნდა ვიომოთო“. ამ ხელმწიფემ „კარ-
გი“-ო შეუთვალა.

მოვიდა დრო. წავიდა ხელმწიფე მისი ჯარიანად. მივიდნენ დანიშ-
ნულ ალაგს. მისი სიძეები ორივე, რა სალაპარაკოა, იქ მიჰყავს. მოვი-
და იქიდან ის ხელმწიფე თავისი ჯარით. დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს.

ამ დროს ქოჩორამ ხელმწიფის ცოლს კაცი მიუგზავნა: „ცხენი მი-
ნდა, მეც მივდივარ საჩხუბრადლა“.

— მიეცით: ეგებ სადმე გადაიკარგოსო.

ქოჩორა შეჯდა თავის ცხენზე. ცხენმა დაიწყა ძანძალი. ბავშვებმა
სტვენა მორთეს: „ეჰე, ის დღეს ჯარს დაცხრილავსო“.

ქოჩორა მივიდა იქ, სადაც რაში ჰყავდა. ცხენი მინდორში გაუშვა.
რაშს დაუძახა. რაში მოვიდა. ამოიღო უნაგირი და ვერცხლის ტანისა-
მოსი. უნაგირი რაშს მოადგა; ტანისამოსი თვითონ ჩაიცვა. შეჯდა
რაშხე და დაჰკრა მათრახი. რაშმა გასწია ზემოდ და იქ დასკუბდა, სა-
დაც ხელმწიფეები ერთი მეორეს პირდაპირ იდგნენ. ყველას შეეშინდა: —
ეს რა ამბავიაო. — სიძეებმა კი იცნეს ვაჟი: „ჩვენ რომ მთაზე ვხედავ-
დით, ის არისო“, — თქვეს თავისათვის.

ქოჩორ მ იძრო ლეკური, ჩაერია იმ ხელმწიფის ჯარს და სულ მუ-
სრი გაავლო. ვინც რომ გაიქცა, გაიქცა. დაჰკრა ქოჩორამ რაშს მათ-
რახი და იქვე გაჩნდა, სადაც ცხენი ჰყავდა გაშვებულნი. გამარჯვებული
ხელმწიფეც მოდის სიძეებთანად, ძლიერ გახარებული. მოვიდნენ სასახ-
ლეში. ხელმწიფემ სთქვა: —

— დღეს ღმერთი შემეწია: ანგელოზი მომივლინა და იქაური ჯა-
რი სულ ერთიანად დახოცა; ჩვენ კი თავისუფლად მოვედითო.

გავადა დრო და ხანი. კიდევ შემოუთვალა იმ ხელმწიფემ ამ ხელ-
მწიფეს: „უნდა ვიჩხუბოთო“. ამ ხელმწიფემ შეუთვალა — „კარგიო“.

დანისუნულ დროს წავიდა ხელმწიფე ჯარით და ორივე სიძით. იქიდან ის ხელმწიფე მოვიდა თავის ჯარით. ამ დროს ქოჩორამ კაცი მიუგზავნა ხელმწიფის ცოლს: „მეც მივდივარ, და ცხენი მიბოძეთო“.

— მიეცით, ეგებ პაპანწყვილს*) ჩაიღუპოსო, — ბრძანა ხელმწიფის ცოლმა.

შეჯდა ქოჩორა ცხენზე და გასწია. შარას რო მიდის, ბავშვებმა სტვენა დაუწყეს: „ქოჩორა დღეს თესლად ამოავდებს იქაური ხელმწიფის ჯარებსაო“.

ქოჩორა მივიდა, სადაც რაში ჰყავდა. დაუძახა რაშს; რაში მოვიდა. ამოუღო ყურიდან უნაგირი და ოქროს ტანისამოსი, და გამოეწყო. შეჯდა რაშს და ომის ადგილას გაჩნდა. ჩაერია შუაში, იძრო ლეკური და დაიწყო კაცის ხოცვა. იმ ხელმწიფემ, მეორემ, იფიქრა: ნამდვილად ღმერთი შე უნდა მიწყრებოდესო. გაჰყვა ქოჩორა ჯარს და ერთიც არ გაუშვა ცოცხლად. ყველა რო დახოცა, ქოჩორა მობრუნდა თავის ხელმწიფისაკენ. ხელმწიფე მიეგება, პატივი სცა დაჩოქებულმა, როგორც ღმერთს — ისე. ლეკურის ჩაგების დროს ქოჩორამ მარცხენა ხელის თითი გაიჭრა. ხელმწიფემ ყელსახვევი მოიხსნა და მით თითი შეუკრა.

ქოჩორა შეჯდა რაშზე, დაჰკრა მათრახი და პირდაპირ სასახლეში წამოვიდა. შევიდა ეზოში და აათამაშა რაში. როდესაც ხელმწიფის ცოლმა, შვილებმა და მსახურებმა ეს დაინახეს, ყველანი მიიმალა-მოიმალნენ: შეეშინდათ. ქოჩორამ მოუქნია რაშს, ისერი შეათამაშა, რო ხელმწიფის მოსახლობამ ცანცალი დაიწყო. ამ რაშის ნაფოლი მიწას აჩნია, ისე რომ თითო ნაფოლს თითო კაცი ჩაეტევა. ბოლოს ქოჩორა გაექანა თავის ფაცხისაკენ. გადმოვიდა რაშიდან, გააღო კარი, შეიყვანა შგ რაში და კუთხეში დააყენა. ქოჩორას მეუღლე შიშით მოკვდა: ვერ იცნო, ვინ იყო. ქოჩორამ უთხრა: —

— არ შეგეშინდეს, მე ვარ — შენი ქოჩორა!

*) პ პანწყვილი ტბის სახელია საქურზაყანოსა და აღბახეთს შუა. სახელი შესდგება ორი სიტყვიდან: პაპა (მღვდელი) + წყულა (დაქცევა). ამ სახელს ლეგენდა ამნაირად ხსნის: ერთ მღვდელს ნადი, ანუ მამითადი ჰყავდა, საღამოთი მღვდელი ჩვეულებისამებრ გაუმასპინძლდა მუშებს, მხოლოდ ცხვრის მაგივრად ძაღლი დაუკლა ამ ურჯულს საქციელისათვის ღმერთმა დასაჯა მღვდელი: როდესაც ნადი წავიდა, მღვდლის კარ-მიდაპო მიწამ შთანთქა და მის ადგილას ტბა გაჩნდა, რომელსაც ამის გამო დაერქვა პაპანწყვილი.

ქალს, იცოდე, გაეხარდა. მივარდა, ჩაეხუტა მკერდში; კიდევ სტიროდა და კიდევ იცინოდა; რა უნდა ექნა,—არ იცოდა. ქოჩორა დაწვა ლოგინზე, თავი ქალის კალთაში ჩადვა. ქალმა აიღო ჩონგური იწყო დაკვრა და დამღერება. იმდენად გული გაკეთებული ჰქონდა.

ხელმწიფის ცოლმა სთქვა: „ვინ უნდა იყოს, ჯიმა-ღურელი, ღვთის წსორი კაცი ფაცხაში რო შევიდა და ჩემი დაღუპული ქალი მას ჩონგურს უმღერებსო“? დედამ ქალს კაცი გაუგზავნა:—ვინ არის მაგ კაციო?

გააღო კარი გამოგზავნილმა კაცმა. შიგ რო შეიხედა, ღვთისწორი კაცი და მისი რაში დაინახა.

— რა ვინდა?—ჰკითხა ქალმა.

— ბატონმა შემოგითვალა, ეგ კაცი ვინ არისო,—უთხრა გამოგზავნილმა კაცმა.

— ეს თქვენი საქმე არ არისო,—უთხრა ქალმა.

ამ დროს მოაწიეს ხელმწიფემ და მისმა გამარჯვებულმა სიძეებმა. თავმა კაცებმა წინდაწინ გამოაქენეს ცხენები, რომ ხელმწიფის ცოლს ახარონ გამარჯვება. ეზოში რო შემოვიდნენ, რაშის ნაფოლევებში ჩაცვინდნენ ყველანი, რადგან მიწის გული დაგლეჯილი იყო რაშის ნაფოლევებით. ხელმწიფემ დაიძახა: „ეს რა ამბავია? ღორები ხომ არ შემოცვენილან ეზოშიო?“

ხელმწიფის ცოლი ზემო სართულიდან გამოვიდა წყნარად, დაუქნია ხელი, მიიფარა ხელი პირზე და უთხრა:—

— სუ, სუ, წყნარად! ღმერთი არის ფაცხაში!

ყველას შეეშინდა. ჩამოვიდა ხელმწიფე ცხენიდან, ავიდა ზემო სართულში და ჰკითხა ცოლს ამბავი. ცოლმა ყველაფერი უამბო, რაც ნახეს. ხელმწიფემ სთქვა: „ნამდვილად რო მეხმარებოდა, ის ღმერთი უნდა იყოსო.“ ხელმწიფემ კაცი მიუგზავნა: „მობრძანდიო“, მაგრამ ქოჩორამ შეუთვალა: „აქეთ მოვიდესო.“

ხელმწიფე, მისი ცოლი, შვილები და სიძეები წამოვიდნენ ყველანი ერთად. შევიდნენ ფაცხაში, ნახეს სასწაული, დაიჩოქეს. ქოჩორამ უთხრა:—

— ადექით! მე ქოჩორა ვარ, ღმერთი არ გეგონოთ.

ადგნენ. ქოჩორამ უთხრა უფროს სიძეს:—

— შენ რა უყავ შენი თითის ფრჩხილი?

— ამა და ამ დროს ქვაზე წავიგლიჯეო, — უთხრა მან.

გაიცინა ქოჩორამ და უთხრა: —

— აი, შენი ფრჩხილი! ქვაზე წავიგლიჯე, თუ მე აგავლიჯეო?

მოკვდა სირცხვილით უფროსი სიძე, მაგრამ რა უნდა ექნა? — ქოჩორას ვერაფერს გაუბედავდა. ახლა ქოჩორა მეორე სიძეს მიუბრუნდა: —

— რა უყავი შენი ყური?

— ამა და ამ დროს მთაში ქვაზე წავიგლიჯეო, — მიუგო იმანაც.

გაეცინა ქოჩორას და უთხრა: —

— აჰა, შენი ყური! ქვაზე წავიგლიჯე, თუ მე მოგავლიჯეო?

დაიწვა სირცხვილით ესეც, მაგრამ რა უნდა ექნა?

ახლა ქოჩორა მიუბრუნდა ხელმწიფეს და ჰკითხა: —

— შენ რომ წინად საომრად წადი, მაშინ რაგვარი კაცი ნახე, რომ გეხმარებოდა.

— ტანისამოსი ყველაფერი ვერცხლისა ეცვა, — უთხრა ხელმწიფემ.

— მეორედ რომ წადი საომრად, მაშინ როგორი ტანისამოსი ეცვა იმ კაცს?

— ბატონო, თქვენი ტანისამოსის მზგავსი ეცვა.

— რა დაემართა იმ კაცს ლეკურის ჩაგების დროს?

— თითი გაიქრა.

— მერე შენ რა ქენი?

— მე, ბატონო, ჩემი ყელსახვევით თითი შევუხვია.

— ეს ხომ არ არის? — აჩვენა ქოჩორამ შეკრული თითი.

ხელმწიფეს გაეხარდა, გადაეხვია, გადაკოცნა და ახლა კი გაიგეს, თუ რაში ყოფილა საქმე. მაშინვე ქოჩორა და მისი ცოლი ზემო სართულში აიყვანეს. სხვა სიძეები ცოლებიანად გადაიკარგნენ, კაცისათვის თავი რომ არ ეჩვენებიათ — ისე. ხელმწიფე და მისი ცოლი გახარებულნი იყვნენ, მისთვის რომ ასეთი სიძე მისცა მათ ბედმა.

გავიდა ბევრი დრო და ხანი. ქოჩორა სანადიროდ დადიოდა. ნანადირევი ბევრი მოჰქონდა. ერთხელ მისი ცოლი ზღვაზე წავიდა ტანის დასაბანად. ამ ქალს თმა ესხა ოქროს ძაფივით, ერთი თმა მოსძვრა და ზღვაში ჩავარდა. ეს თმა წყალმა აიტოვებინა და გაღმელი სახელმწიფოს ზღვის პირას გააგდო. ეს ნახა იქაური ხელმწიფის ვაჟმა. აიღო, გასინჯა და სთქვა: „ამ თმის პატრონი თუ ჩემი ცოლი არ იქნება,

ჩემი ყოფა ქვეყანაზე ისე ღმერთმა ნუ ქნასო“. მივიდა სახლში და ყველაფერი მამას უამბო. მამა შეწუხდა; შეჰყარა თავის სახელმწიფოს ყველა კაცი და ჰკითხა:

— ასეთი საქმე მიჭირს, და ვის შეგიძლია ჩემი დახმარებაო.

— მე მოგეხმარებიო, — უთხრა ერთმა დედაბერმა. ის წაიყვანა ხელმწიფემ სახლში და ჰკითხა: — როგორაო? დედაბერმა უთხრა: —

— ერთი ჭიქა სასმელი მიშოვე ისეთი, რომ თუ ვინმემ დალიოს, მაშინვე დააძინოსო. მეორე, — უთხრა დედაბერმა, — ისეთი ნაფი მიშოვე, თვალის დახამხამებას ასი ვერსი გაიაროსო.

— ძალიან კარგიო, — უთხრა ხელმწიფემ და მიცა ყველაფერი გამოწყობილად.

წამოვიდა დედაბერი. გამოვიდა ზღვაში ქოჩორას სახლის ახლოს. ნაფი ნაპირზე მიიბა, კაცი რომ ვერ ნახავდა — ისე. წამოვიდა სასახლისაკენ; შევიდა ეზოში; თან ჯოხი უბიჯვია, ვითომ მათხოვარია — ისე. დაინახა დედაბერი ქოჩორას ცოლმა და ჰკითხა: —

— რა გინდა, ნანა, რისი მათხოვარი ხარო?

— მე, ნანა — შვილო, მოსამსახურედ დამიყენეო, — უთხრა დედაბერმა.

— ძალიან კარგიო, — დასთანხმდა ქოჩორას ცოლი. — იცოდე, ამ დროს ხელმწიფე და მისი ცოლი მკვდრები იყვნენ. ქოჩორა სალამოს მოვიდა სანადიროდ; ნახა დედაბერი, გაეხარდა: მარტო ვიყავით და კაცი შეგვეძინაო. იმ დედაბერს გაუკვირდა ქოჩორას ძალა, მისთვის რომ იმდენი ნადირებით დატვირთული მოვიდა. მეორე დღეს ქოჩორა ისევ წავიდა სანადიროდ. ეს დედაბერი მიუჯდა ამ ქალს და დაუწყოლაპარაკი: —

— ნანა — შვილო, ამ შენს ქმარს სული სად უდგია, ღონე სადა აქვსო?

— მე არ ვიციო, — უთხრა ქალმა.

— ნანა — შვილო, შენი ქმარი ერთი სული და გული არა ყოფილა შენთანაო, — უთხრა დედაბერმა. იმ დამეს მოვიდა ქოჩორა. რომ დაწვინენ, ქალმა უთხრა: —

— ქოჩორა, შენ მე არ გიყვარვარო.

— რისთვისაო?

— რისთვისაო, და შენ სული და ღონე სადა გაქვს, მე არ უნდა ვიცოდეო?

— რისთვის გინდაო? — ჰკითხა ქოჩორამ და მისი სანამუსო (საიდუმლო) არ უთხრა ცოლს. მაგრამ ცოლმა საშველი არ მისცა, და ბოლოს ყველაფერი უთხა ცოლს. მეორე დილას ადგა ქოჩორა და წავიდა სანადიროდ. დედაბერმა ჰკითხა ქალს:—

— რა არის, ნანა, რა ვითხრა?

— ჩემი ღონე და სული, ერთი ღერი თმა მაქვს შუაგულ თავზე; ის თმა ყველა სხვაზე უმსხოსია, იმ თმას აბარიაო. როდესაც ის თმა მომძვრება, მაშინვე მოვკვდებიო, — უთხრა ქალმა დედაბერს ქოჩორას ნაამბობი.

დედაბერს გაეხარდა. იმ საღამოს ქოჩორა მოვიდა სანადიროდან, დაწვა ლოგინს და დაიძინა. ეს დედაბერი მიქვაქვალდა შკაფთან, გამოიღო სასმელი, დაასხა ჭიქაში და უთხრა ქალს: „აა, ნანა — შვილო, ეს ჩემი ნახელავი დალიეო“. ქალმა ჩამოართვა, — დალია. ძილი მოუნდა ქალსა; დაწვა და დაეძინა. ამ დროს დედაბერი მიეპარა ქოჩორას, მოჰკიდა ხელი იმ თმას და უცბად ამოგლიჯა. ქოჩორა ერთი შეიძრა და წყილივით სული განუტევა. დედაბერმა მოიტაცა ქალი, რო ეძინა, — ისე. მიიყვანა ნავთან, ჩასვა შიგ და გადაკარგა მეორე სახელმწიფოში. ქოჩორას ის ერთი ღერი თმა თან წამოიღო და შუა ზღვაში გადააგდო. დედაბერმა ეს ქალი ხელმწიფეს მიუყვანა. გაეხარდა ძლიერ და ბევრი საჩუქარი მისცეს დედაბერს. ხელმწიფემ უთხრა ქალს:—

— შენ მე რძლად მინდებხარ: გვირგვინი უნდა ისკვნა ჩემს შვილთანაო.

— მე არ შემიძლია გვირგვინის სკვნა, მისთვის რომ უნდა ვიგლოვო ჩემი ქმარი სამ წელიწადს, სამ თვეს, სამ კვირას, სამ დღეს, სამ საათსა და სამ წამს; შემდეგ — კი, ახლა — არა, — უთხრა ქალმა.

— კარგო, — უთხრა ხელმწიფემ. წაიყვანეს ეს ქალი და ზემო სართულის ოთახში შეიყვანეს. ქალმა კარი შეგნიდან დაჰკეტა. ფანჯარა გაღებული აქვს დღისით და ღამით. გასცქერის ზღვის პირს და მუდამ სტირის. რაც დაემართა, ყველაფერი იცის, მაგრამ რას უშველის?

გავიდა სამი წელი და სამი თვე. მოვიდა დანიშნული დრო. მაგრამ ესეც იცოდეთ: როდესაც ქოჩორა მოკვდა, ბელთაგან-ტარიელის ჯაყვის პირი ასისხლიანდა. შეჯდა რაშზე, მოუქნია და წამოვიდა ხრისტაგან — ტარიელის საძებრად. მიხვდა, რომ ნამდვილად მკვდარია. ამდენი რა გავაგძელო, მოვიდა ხრისტაგანის სახლში. ავიდა ზემო სართულში, ნახა ხრისტაგანი მკვდარი. დაიტირა, ადგა, დაიჭირა ხრისტაგანის რაში.

ბელთაგანი ტარიელი გულთა აზრში იყო. გულმა უთხრა, თუ სად იდ-
ვა ხრისტაგანის თმა. გასწია ზღვისაკენ, ჩახტა წყალში, მოუსვა და იწ-
ყო ძებნა. ეძება და დაინახა—ერთ ადგილს ზღვის ძირში ქვიშაში თავი
ამოეყო. დაიყურყუმელა, წავიდა ძირს, მოჰკიდა თმას ხელი, გასცურა
ნაპირისაკენ, შეახტა რაშს და მივიდა იქ, სადაც ხრისტაგანი მკვდა-
რი იდვა. ეს თმა სადაც ება, იქვე მიადკა. ხრისტაგანმა უცბად გაილ-
ვიდა და სთქვა: „ჰე, ჯიმაღურელი, როგორი დამძინებია!“ მაგრამ კი
იცოდა, რაც უჭირდა. შეჯდნენ ტარიელები რაშებზე, დაჰკრეს მათრახი
და იქ გაჩნდნენ, სადაც ქალი თანჯრიდან ზღვის პირს დასცქეროდა.
იცოდე, ეს ის ღროა, რომ ხვალ თავდება ქალის მიერ დანიშნული ვადა.
ქალმა გაიხედა ზღვის პირისაკენ, დაინახა ორივე ტარიელი და ტირილს
თავი დაანება. მოვიდნენ ტარიელები, შევიდნენ ხელმწიფის ეზოში.
ხელმწიფემ, როდესაც დაინახა, სთქვა: „ვინ არიან, აქ რომ შემოვიდ-
ნენო?“ ხრისტაგანმა დაუძახა: „მე ვარ და ჩემი ძმა ბელთაგან—ტა-
რიელიო“.


შევიდნენ სახლში, გატეხეს კარი, გამოიყვანეს ქალი მინდორს,
დაუძახეს ხელმწიფეს: „მოგვიყვანე ამის მომყვანი დედაბერიო.“ მაშინვე
მოიყვანეს. ხრისტაგანმა რაშის კუდს მიაბა დედაბერი. შეჯდნენ რა-
შებზე. ხრისტაგანმა თავის ცოლი ხელში აიყვანა. დაჰკრეს რაშებს ტა-
რიელებმა და წამოვიდნენ ზევით-ზევით ჰაერით. მოვიდნენ ხრისტაგანის
ეზოში. იქ მოისვენეს ორი დღე ღამე. მესამე დღეს წავიდნენ ყველანი
ბელთაგანის სახლს. იქ რომ მივიდნენ, დიდი სიხარული შეიქნა. ბელ-
თაგანის ცოლი მოეგება მის რძალს, გადაეხვიენ ერთმანეთს და გადა-
კოცნეს. ერთი კვირის განმავლობაში იქ იყვნენ. ერთი კვირის შემდეგ
ხრისტაგანმა უთხრა ბელთაგანს:—

— ჰე, ძმაო, ახლა წავიდეთ ჩემი დედისა და ბაბუის სახლშიო.

შეჯდნენ რაშებზე, წავიდნენ და მივიდნენ ხრისტაგანის ბაბუის
სახლში. ყველე ცოცხალი დაუხვდა: დედა, ბაბუა, ბებია და ყველა თა-
ვისიანები. მოეგებნენ, დაჰკოცნეს, გადაეხვიენ. ხრისტაგანმა უთხრა ბა-
ბუას: „ეს არის ჩემი ძმა ბელთაგანი—ტარიელი, ეს არის ჩემი რძალი,
ეს—ჩემი ცოლიო“.

იყო მხიარულება, დიდი ქორწილი, დიდი წვეულება. ისეთი ქორ-
წილი ჰქონდათ, ჩიტის რძეც არ აკლდათ.

მეც იქ ვიყავი ქორწილში. თქვენი გულიც მიხვდება, რა ამბავი
ექნებოდათ.



მეფე მუზარბიი.

ყოფილა, ყოფილა მეფე მუზარბიი. ერთი ქალის მეტი არაფერი ჰყოფილა. ჰქონია დიდი კოშკი, საიდანაც მას ყოველ საღამოს უნდა გადაეკიჟინებია თავის სამეფოსათვის, რომ ამით შეეშინებია დევები, რომლებიც დაეცემოდნენ ხოლმე ამ მეფის სამფლობელოს მცხოვრებთ და ხოცდნენ მათ. თუ მუზარბიი დაიძახებდა კოშკიდან, იმ ღამეს დევები ვერ შებედავდნენ მის სამფლობელოში. ამნაირად მუზარბიი ღამით იფარავდა თავის სახელმწიფოს ყვირილ-კიჟინით, სადაც კი ხმა მიუწვდებოდა. დღისით დაჰქონდა თავის შვილდ-ისარი, და სადაც კი დევს მოატანდა თვალს, ქლაკვივით*) თავს ჰგლეჯდა.

მუზარბიის ჰყავდა ცოლი, რომელსაც გული უცემდა ყველაზე უფროსი თორმეტთავიანი კაჟა-დევისათვის. ბოლოს მუზარბიის სიკვდილმა უსწრო, რაც ძლიერ გაეხარდა მის ცოლს, რადგან კაჟა-დევისადმი სიყვარული ჰქონდა, მაგრამ აქამომდე ვერაფერი მოეხერხებია. ბევრს, ბევრს ეცადა მუზარბიის ცოლი, მაგრამ თავის გულისწადილი ვერ დაუმალა თავის ქალს. ქალმა შეატყო დედას, რომ მას დევი უყვარდა და უთხრა:

— ღმერთი გაგვიწყრა და მეფე გარდაგვეცვალა; აწი რისი მაქნისია აქ ჩვენი ყოფნა, დღეს-ხვალ დევები შეგვეჭამენ უმამაკაცოდ. უკეთესია წავიდეთ მთაში და ჩვენი მოკლე ხანი იქ გავატაროთო.

დედას ქალის აზრი სრულებით არ ექაშნიკა და უთხრა:


— მე ახლა ისედაც ხანში შესული ვარ: გინდ დევმა წამილოს, გინდ სიკვდილმა, სულ ერთიაო. შენ, შვილო, რაც გინდა— ისა ჰქენი, და მე სად ვათრიო ახლა ჩემი დაავადებული თავიო.

ქალმა უპასუხა:

— არ შეიძლება, არ წამოხვიდე. ამ წუთს გამოეწყვე და წამოწყევი, სადაც მე წავიდე, თორემ აქავე შენ წინ თავს მოვიკლავო.

*) მინდყრის ხახვი.

დედას ეოცა ქალის ასეთი ლაბარაკი. გამოეწყვნენ და წავიდნენ მთაში. ხაბაკი*), რაც ვერ წაიდეს, დასტოვეს. მთაში ერთი გამოკვაბული იპოვეს და შიგ დაიბარგეს. ყველაფერი ეს ფარულად მოიმოქმე-



დეს: დედა და შვილი სად წავიდნენ, არავის შეუტყვია. ჰკრეფდნენ ჰაფურიას**), აფენდნენ კლდეზე, ახშობდნენ და იწით ირჩენდნენ თავს.

*) ბარგი.

**) ერთგვარი ტკბილი ბალახია. გვირიელ საკმელზე მეგრელები ამბობენ: ეს საკმელი ჰაფურიასავით ტკბილიაო.

გავიდა დრო და ხანი. ერთ დღიას ქალი წავიდა ქაფურის დასაკრეფად. ამ დროს დედას ვაჟი შეეძინა, ნახევრად ოქრო და ნახევრად ვერცხლი. დედამ აიყვანა შვილი და დიდ ქვას ქვეშ ამოიღვა. როგორც კი მოვიდა ქალი, მაშინვე მიხვდა, თუ რა ამბავი მოხდა მისი წასვლის შემდეგ და დედას უთხრა:



— რა არის, რო ფერი წავსვლია? ახლავე მითხარი, თორემ შენ წინ თავს მოვიკლავო.

— რა დამემართებოდა, შვილო? ერთი გლახა ბავშვი ნეყოლა და ვგერ ქვის ქვეშ ამოვდევიო.


ქალი ეცა ქვას, ასწია და გამოიყვანა ვაჟი, ნახევრად ოქრო და ნახევრად ვერცხლი. ამ ქალს სიხარულათ ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა — ქალამნადა. თქვა: „ეს რაღაც ღვთის წყალობა არისი.“

ბავშვია, მაგრამ რა ბავშვი: დღევანდელს ხვალინდელი სჯობს, ხვალინდელს — ზეგისა როგორც რომ მზეს — ისე მის პირისაბეს თვალს ვერ გაუშართავ. სამი დღის სამა წლისასა ჰგვანდა, სიარული დაიწყო. ათითორმეტი დღის რომ გახდა, ნადირობა დაიწყო აიღებს კოლოკს, ისვრის და ჩიტებს თავებსა ჰგლეჯს. ცოტა ხნის შემდეგ ამ ბავშვა უთხრა თავის დას:

— გამიკეთე სასროლი რამეო.

დამ მოსჭრა წკნელი და გაუკეთა უბრალო შვილდ-ისარი, მოიგლიჯა თავიდან თმა, დაგრიხა და შვილდზე გაუბა. ამის შემდეგ ბავშვა უკეთ დაიწყო ნადირობა. მიდის დიდას, საღამოს ბრუნდება ნანადირე-

ვით დატვირთული და ამნაირად საკმელს არ აკლებს დასა და დედას. დედას ვაჟს სიმარჯვე დიდათ არ უხარია. რაც ხანი გადიოდა, ბავში თანდათან შორს მიდიოდა სანადიროდ. სალამოობით დაყოვნება დაიწყო, მაგრამ ჯერ კაცი მოსახლობისათვის თვალი არ მოუკრავს. ერთ დილას წამოვარდა ალიონზე, უნდოდა იმ დღეს კიდევ უფრო მეტი ადგილი შემოეველო. მიდის ბავში და ერთ გორაკს მიადგა. გაიხედა და დაინახა: დგას შენობები, მამა მისის კოშკი ცაში უწევს; ასეთი რამე მის დღეში არ ენახა და გაკვირვებულია: რა არის, რომ ენახეო, და ძლიერ უნდა გაიგოს, რა ამბავია, მაგრამ კაცი არაა, რო ჰკითხოს. თვითონ ჩავიდეს გორაკიდან და ნახოს, ეშინია, მისთვის რო მზე ჩასვლასაა, სახლში დროზე ველარ დაბრუნდება; იმისი და კივილს ასტეხავს.



არა და — რა ქნას? — „ე“, სთქვა ბავში: „რაც იქნეს, იქნეს, რა ამბავია, თუ არ ენახე, — არ იქნებაო“. თვალის დახამხამებაში ჩაირბინა მთა, მივიდა ერთ სახლთან, მაგრამ შიგ ვერავინა ნახა; აგრეთვე მეორეშიც. მესამეში ნახა, ზის კერიასთან ერთი დედაბერი. მოიხედა დედაბერმა და ნახა, რო კარს ვილაც სამაგალითო ვაჟი სდგას, და უთხრა:

— ნანა, ვილაც ქრისტიანის შვილი ხარ, რისთვისაა რო ასე თავი მოგძულეზია? აქ დევები მიდი მოდიან და ადამიანებს სწყვეტავენ. ამ ადგილს ჩემს მეტი კაცი აღარ დარჩენილა, და მეც ხვალ წამიყვანებენ. ეს ხელმწიფე მუზარბიის სასახლეა, რომელიც უშემკვიდროთ ამოვარდა. სიკვდილის შემდეგ ცოლი და ქალი კი დარჩა, მაგრამ ისინიც სადღაც გადიკარგენ, კაცმა რო არ იცის — ისეო.

ბავშმა ახლა ყველაფერი შეიტყო, ვინ არის და ვისი შვილია. გაეხარდა გამოუთქმელად, დედაბერს გამოჰკითხა, როდის მოვლენ დევებიო, წამოხტა და ისევ მთას გაეშურა დედასა და დასთან. გზა-გზა ცოტაოდენი წაინადირა. ვახშმობისას ვაჟმა ჰკითხა დედას:

— ნანაია, მითხარი, ჩვენ საიდან მოვედითო. დედამ უპასუხა:

— ჩვენ არსაიდან არ მოვსულვართო.


დას უნდა ყველაფერი უთხრას ძმას, მაგრამ დედის ეშინია. ბავშვმა დედას მეტი აღარა ჰკითხა-რა.

მეორე დღეს ალიონზე ავარდა ბავშვი და წავიდა, სადაც გუშინ იყო. როგორც კი დაინახა დედაბერმა, წამოვარდა და ბავშვს მიეგება. გადაეხვია, გადაკოცნა და ყველაფერი უამბო, რაც უნახავს, გაუგონია მუხარბიი ხელმწიფის შესახებ. ბავშვმა როგორც კი შეიტყო, რომ მამა მისის შვილდ-ისარი კოშკში ძვესო, იმ წამს აირბინა და ჩამოიტანა. დედაბერს უთხრა: „შენ, როდესაც დევი მოვიდეს, სადაც ზიხარ, მაქედან არ დაიძრეო“. თვითონ წავიდა და კარს ამოეფარა. ცოტა ხნის შემდეგ დევიც გამოჩნდა: მოდის და დედამიწას მოანგრევს. დევმა მოაწია კარამდის და რო უნდა დედაბერი ჩაყლაპოს, ამ დროს ბავშვმა სტყორცნა ისარი და მიწაზე თავი დაუნთხია. მოეხმარა დედაბერი და დევი მიწას დამარხეს. საბრალო დედაბერს აწი რაღა უჭირს, რადგან ღმერთმა ასეთი მხსნელი მოუვლინა.

ბავშვმა მამა მისის შვილდ-ისარი იქვე შეინახა, აიღო თვისი შვილდ-ისარი და სახლში წავიდა. გზაში დახოცა ცოტა ნადირი და წაიღო. მეორე დღეს ისევ წავიდა ბავშვი, და ახლა მეორე დღეს დაუდარაჯა, რომელსაც მოელოდა დედაბრის ნალაპარაკების თანახმად. დედაბერმა დაუძახა: „მეორე დევი მოდისო“. დაუგლო ყური, გაიგონა ბავშვმა დევის ხმა: „აქეთ გამოდი, დედაბერო, და მითხარი, სად წავიდა ჩემი ძმაო“. დედაბერს ვითომც არც გაუგონია. გულ-გახეთქილმა დევმა მოატანა კარებს და უნდა დედაბერი ჩაყლაპოს ბავშვმა სტყორცნა ისარი და თავი წააგლიჯა. ესეც დამარხეს. ამნაირადვე მესამე დღეს მესამე დევიც მოჰკლა ამ ბავშვმა. დარჩა ყველაზე უფროსი კაჟა-დევი. ამ კაჟა-დევის თორმეტი თავი ედგა. მისი მოკვლა, როგორც ამბობდნენ, არავის არ შეეძლო. მეოთხე დღეს კიდევ მოვიდა ბავშვი და ამ მეოთხე დღეს დაუდარაჯა: „დღეს გადაწყდება ჩემი ბედისწერაო“, ამბობს ბავშვი.

იძრა მიწა, სახლი, ყველაფერი ერთად. იკითხა ბავშვმა: „ეს რა ამბავიაო?“. დედაბერმა უპასუხა: „კაჟა დევი მოდისო“. მართლაც მოდის ეს დევი და თან მოღრიალებს:

— აქეთ გამოეთრიე, დედაბერო, და მითხარი — სად წავიდნენ ჩემი ძმები, თორემ მეტი არ იქნება შენი ყოფა.



დედაბერს ვითომც არ გაუგონია. ეს დევი მოვარდა კარებს, გააღო პირი, და რომ უნდა გადაყლაპოს დედაბერი, ბავშვმა ამ დროს შეილდისრით თორმეტივე თავი დააყრევინა. შეხედა ბავშვმა, ნახა, რომ თორმეტივე თავი ისევ მოზრდია. შემოურბინა, აიღო ისარი და მეორედ თორმეტივე თავი წააგლიჯა, ისევ მოეზარდა. კიდევ გადასჭრა — კიდევ მოეზარდა. ასე არაფერმა უშეგლო: რამდენს გადასჭრის, იმდენი მოეზრდება. ამ დროს მოფრინდა კინკრაქა, შემოჯდა კარს და დაიწყო ჭყვილი: „ნაცარ-ტუტა, ნაცარ-ტუტა!..“ დაფაცურდა დედაბერი, დაავლო კეცს ხელი, ამოუსვა ნაცარ-ტუტას და, როდესაც ბავშვმა დევეს თავები გადასჭრა, ზევიდან დააყარა. შემდეგ თავს აღარ ამოუყრია. მოეხმარენ ისევ ერთმანეთს ბავშვი და დედაბერი, დევი ლუკმა ლუკმად დასჭრეს და ისიც დამარხეს.

დედაბერმა უთხრა ბავშვს, რომ ქვეყანაზე მეტი საშიში აღარაფერი არისო. დედაბერს სიხარულით ყველაფერი გადაავიწყდა, რაც რომ შიში უნახავს. ჰკოცნის ბავშვს და თავს ევლებს. საღამოს ბავშვი დაღ-

ლილი სახლში წავიდა. როგორც კი მივიდა, იმ წამსვე დაწვა. დამ ჰკითხა:

— რა არის, დაღლილი და დასუსტებული რომ ხარო?

ბავშვმა იმ დღეს არაფერი არა სთქვა. მეორე დღეს უნდოდა ისევ გამოეცადა დედა და ჰკითხა:

— ვისი შვილი ვარ, მითხარო. — დედამ ისევ დაუმალა. ბოლოს ბავშვმა გაუცხადა დასა და დედას სად იყო ეს ოთხი დღე, ვინ ნახა და რა ჰქნა. დამ ვერ მოითმინა სიხარული და უთხრა:

შენა ხარ იმ მუზარბიის შვილი, რომლის შვილად ისარით დევები დახოცო. დედამ თავი იმართლა, ვითომ მით, რომ არ უნდოდა მისი შვილი დევებს შეჰკვდომოდა. ბავშვმა წამოიყვანა და, — და დედა და გახარებული წამოვიდა თავის მამის სასახლეში. მზე რომ ჩავიდა, ავიდა კოშკის თავზე მამა-მისივით და ისეთი დაიკიჟინა, რომ ვაკრსკვლავებმა ცანცალი დაიწყეს. ხალხმა რომ ეს გაიგონა, — გაოცდა, ეს რა ამბავიაო და სთქვეს:

— მუზარბიის რა აღადგენდა, თუ არა და — ვინ უნდა მოსულიყო იმის მაგიერიო?

მეორე დღეს გააგებინეს ერთმანეთს, ყველას, მთაში სცხოვრობდა თუ ბარში. მოიყარეს თავი და წავიდნენ სასახლეში, რომ შეიტყონ ვინ მოსულა. როდესაც გაიგეს, რომ მუზარბიის შვილი მოსულა და დევები ყველა დაუხოციაო, სიხარულით ცას ეწიენ. მიულოცეს მუზარბიის შვილს ხელმწიფობა და გახარებულნი დაბრუნდნენ თავ-თავის სახლში. ამ ბავშვის დედას არ გახარებია კაჟა-დევის მოკვლა. როდესაც შეიტყო, სად იყო დამარხული კაჟა დევი, ყოველ დილას მიდიოდა და საფლავს წყალს აჰკურებდა. მესამე დილას ქვევიდან ხმა მოესმა.

— ვინ მადლიანი ხარ, წყალს რომ მასხამ: არ შეიძლება ერთი მუჟა მიწა გადამფხოვნო?

ქალმა მართლაც გადაფხოვნა. ამ დროს გაიხსნა მიწა და დევი ამოვიდა. ამ ქალმა დევი ბუზად აქცია და კიღობანში ჩაკეტა, ცოტა ხანი რომ გავიდა, დედამ მიუტანა შვილს ცერის სისხო წულეები და უთხრა:

— შენ არა გეცხარ მამაშენს: იმას აი ამისთანა წულეები ეცვაო.

შვილს ეწყინა, როგორ თუ მამაჩემს არა ვგეგვარო. ჩამოართვა წულეები — ჩავიცვამო. ჩაცმის დროს ფეხი გადაიგრიხა და კიდევაც მოიტეხა მარჯვენა ფეხი. დედა ეცა კიღობანს და ამოუშვა ბუზი. ბუზი დედად იქცა და დაეტაკა ბავშს. შეიბნენ. რო კიღობანდნენ, აიყვანა ბავშვმა ცალ ფეხზე მდგომარე დევი და მუხლამდის მიწაში ჩაასო ბიჯგვიით. ხედავს დედა, რომ აგერ-აგერ ბავშვა მოერევა დევს. მივიდა და ფეხქვეშ ფეტივი დაუყარა შვილს. მოუბრუნდა დევი ბავშვს და დასცა,

დაადგა მკერდზე ფეხი და ნაგლეჯებად აქცია. დედა და კაჟა-დევი ზევით ავიდნენ კოშკში. მოვიდა და ნახა, რომ მისი ძმა აბედლივით დაწეწილი დევს. შეკრიბა ელვის სისწრაფით ძმის ნაწილები, ტომარაში ჩააწყობა და გაიქცა იმ მთაზე, სადაც წინეთ იყვნენ. როდესაც მივიდა გამოქვაბულში, მაშინვე ძმის ნაწილები დააწყობა და სამი დღე და ღამე გვერდში უჯდა, დასტიროდა და თვალ ცრემლიანი ღმერთს ევედრებოდა. მესამე დღეს შეინძრა ბავშვი და გაიღვიძა მძინარე კაცივით. ძმამ უთხრა დას:

— ახლა მე წავალ სახლში და ცოტა ხნის შემდეგ შენც გამოიყვებიო.

ღამ დაუჯერა. ბავშვი ფარულად მივიდა სასახლეში და დედაბერს უთხრა:

— შენ ირბინე და იძახე: მუზარბიი ამდგარა, მუზარბიი ამდგარა!

დედაბერმა დაუჯერა და გამოვარდა გარეთ კიჟინით. დედამ და დევმა რო გაიგეს ასეთი ძახილი, გამოცვიდნენ გარეთ. ამ დროს ბავშვი შევარდა კოშკში, გამოარბენინა შვილდ ისარი, სტყორცნა კაჟადევს და თორმეტივე თავი წააგლიჯა. მოირბინა დედაბერმა, ნალვერდალი დააყარა დევს თავზე. მობრუნდა ბავშვი წვრილ-წვრილად დაჰკეპა დევი, დაანთო დიდი ცეცხლი, დასწვა და ფერფლად აქცია. ამ დროს დაც მოვიდა. იმას ძლიერ გაეხარდა, ძმა რომ გამარჯვებული ნახა. დედამ, როდესაც გაიგო, რომ დევი მოჰკლეს, ზევით კოშკში ავიდა და იქ ჩაიკეცა. შემდეგ ამ ბავშვს უთხრეს მისმა დამ და დედაბერმა:

აქამდას სათქაელად ვერ გაგიბედეთ, თორემ მამაშენს ჰყავდა რაში, რომელიც ამა და ამ გვირაბში აბიაო. თუ იმ რაშზე შეჯდები შემდეგ არაფერი გაგიჭირდებაო.

მუზარბიის მემკვიდრემ მაშინვე გამოიყვანა რაში და ზედ მოაფრინდა ჩიტივით. რაში ავარდა და უნდოდა ცაზე მიესრისა მხედარი, მაგრამ ბავშვი მუცელ ქვეშ მოექცა; რაშს უნდოდა მიწაზე დაესრისა, ბავშვი გვერდზე მოექცა; მთაზე მისრესა მოუნდომა, მეორე გვერდზე მოექცა. ამნაირად რაშმა ამ ბავშვს ვერაფერი დააკლო. ბოლოს ბავშმა თმით გამოათრია დედა-მისი, რაშის კუდს გამოაბა და დააგლეჯინა.

ჩემი არაკი გავათავე. წუხელის იქ ვიყავი, დღეს აქ მოვედი. სამი ვაშლი, სამი ბროწეული ღმერთმა ნუ მოგიშალოთ, თქვენი ხელით მოწეული.



398

y 565

80